გეოგრაფიული აღნიშვნა: ჭაჭა

რეგისტრაციის № 1

რეგისტრაციის თარიღი: 2011.12.13

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:

კლასი 33 - ყურძნის ჭაჭისაგან დამზადებული არაყი

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

განსაკუთრებული თვისებები და დამზადების მეთოდის აღწერა:

1. "ჭაჭა" არის ქართული ტრადიციული სპირტიანი სასმელი - ჭაჭის არაყი.

2. ორგანოლეპტიკურად "ჭაჭა" არის გამჭვირვალე, უფერო სითხე, რომელსაც კარგად აქვს გამოხატული დამახასიათებელი არომატი და გემო. დავარგებულ "ჭაჭას" შესაძლოა ჰქონდეს შეფერილობა უფერულიდან მუქ ჩალისფრამდე.

3. აქროლადი ნივთიერებების შემცველობა "ჭაჭაში" არ უნდა იყოს 1,4 გრამზე ნაკლები 1 ლიტრ აბსოლუტურ ალკოჰოლში.

4. სარეალიზაციოდ გამზადებული "ჭაჭის" მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები.

ყურძნის ჯიშები და ხარისხი:

"ჭაჭის" დასამზადებლად დასაშვებია მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ მევენახეობის ზონებსა და ქვეზონებში ღვინის დასამზადებლად დაშვებული ყურძნის ჯიშების გამოყენება.

გამოყენებული ყურძენი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც დადგენილია ღვინის დასამზადებლად განკუთვნილი ყურძნისათვის.

გამოხდის პროცესი და დავარგება:

ქართული ჭაჭის არაყი – "ჭაჭა" მიიღება დადუღებული, გამოწნეხილი ან გამოუწნეხავი ყურძნის ჭაჭის გამოხდით პირდაპირ წყლის ორთქლით ან წყლის დამატების შემდეგ. დასაშვებია ყურძნის ჭაჭაზე ღვინის ლექის დამატება. ასევე დასაშვებია ჭაჭის ექსტრაგირებით მიღებული სპირტ-წყალხსნარის გამოხდა და/ან ზემოაღწერილი წესებით მიღებული სპირტების ხელმეორე გამოხდა. მიღებულ ნახადში სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 75 მოცულობით პროცენტს.

გემოვნური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, დასაშვებია "ჭაჭის" არომატიზირება ბუნებრივი არომატიზატორების გამოყენებით. არომატიზირება აუცილებლად უნდა ჩანდეს პროდუქტის დასახელებაში ან აღნიშნულ იქნეს "ჭაჭის" ეტიკეტზე.

დასაშვებია "ჭაჭის" დავარგება სხვადასხვა ზომის მუხის ან სხვა ხის ჭურჭელში, ან ხის მერქანზე დაყოვნებით.

აკრძალული ოპერაციები და ნივთიერებები - დაუშვებელია "ჭაჭაზე" სხვა, ნებისმიერი წარმოშობის სპირტის დამატება გარდა "ჭაჭის" სპირტისა. ასევე დაუშვებელია "ჭაჭის" წარმოებისათვის

განკუთვნილი ყურძნის ჭაჭის შაქრიანობის და/ან სპირტიანობის ხელოვნური გაზრდა ნებისმიერი საშუალებით.

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

1. "ჭაჭის" წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს საქართველოს მევენახეობის შემდეგ ზონებსა და ქვეზონებში გაშენებული ვენახებიდან:

- კახეთი
- ქართლი
- მესხეთი
- იმერეთი
- რაჭა
- ლეჩხუმი
- გურია
- სამეგრელო
- აფხაზეთი
- აჭარა

2. "ჭაჭის" გამოხდა, დავარგება და ჩამოსხმა დასაშვებია მევენახეობის წარმოშობის ზონის გარეთ, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.